სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 მარტი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/30

2026–2027 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის, 52-ე მუხლის, „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების (ცვლილება - საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 27 თებერვლის №24/ნ ბრძანებით), ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 26 0000305234, 12.03.2026) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს 2026–2027 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარი წინამდებარე დადგენილების **N1 დანართის** შესაბამისად;
2. ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული **ანკეტა-კითხვარის მონაცემები ელექტრონული ფორმით აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებით“ განსაზღვრულ ვადაში და წესის შესაბამისად (დებულების 33-ე მუხლის მე-20 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში).
3. დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.
4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, დარგობრივ დეპარტამენტებს, დეკანის ოფისებს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **მამია ფაღავა**